

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში, ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. ВЪ редакціи газ. „Дროба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციკროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასამეჭდეთ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

შემდეგი მე-77 ნომერი გაზეთის „დროებისა“, აღდგომის დღესასწაულს გამო, მხოლოდ მომავალ ხუთშაბათს გამოვა, ამ აპრილის 20-ს.

ყოველ-დღიური გაზეთი

„დროება“

ხელის-მოწერა: მთელისში, რედაქციის კანტორაში (სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8).

შალაქს გარეშე მცხოვრებთათვის აღრესი: ВЪ Типографіи. ВЪ редакціи газетъ „Дროба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარის წლის—4 მან. და 50 კაპ., ოთხი თვის—3 მან.

პირველი აპრილიდან პირველ ივლისამდე გაზეთი ღირს—2 მან. და 50 კაპ. წლის დამლევამდე—6 მანეთი.

ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისთანავე უნდა იქმნეს რედაქციაში გამოგზავნილი.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 11 აპრილს. ბერმანის წინადადება იმის თაობაზე, რომ რუსეთმა თავის ჯარები და ინგლისმა თავის ფლოტი ერთსა-და-იმავე დროს მოაშორონ სტამბოლსა, ორთავე მხარემ, ე. ი. ინგლისმაც და რუსეთმაც მიიღეს.

მეროპის უმთავრესი სახელმწიფოები მოიწვევიან ბერლინის კონფერენციაზე, რათა გადახედონ 1856 და 1871 წლების ტრაქტატებს; ამ ტრაქტატების გადახედვის დროს, იმათ უნდა მიიღონ მხედველობაში ის პოლიტიკური გარემოებანი, რომელნიც მოხდნენ მას შემდეგ აღმოსავლეთში.

ინგლისს გარდა, ყველა სახელმწიფოები დათანხმდნენ ამ წინადადებაზედ.

კატმარბურლის ბირჟა, 12 აპრილს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი.)

მან. კაპ.

ლონდონი— 23¹/₂ „ „ „ „
 ამსტერდამი— 16³/₈ „ „ „ „
 ჰამბურგი— 195— „ „ „ „

პარიჯი — — 240¹/₂ — „ „ „ „
 შინაგანი სესხის ბილეთები 5%:
 პირველი სესხის — — 227 — „
 მეორე სესხის — — — 224 — „

ბანკის ბილეთები:
 პირველი გამოცემის — 97 — „
 მეორესი — — — 95—40
 მესამესი — — — 95 — „
 მეოთხესი — — — 95 — „
 აღმოსავლეთის — — — 93—60
 ოქრო, 1/2 იმპერიალი — 8—53

საქართველო

დღიური

მასულ ორშაბათს, 10 აპრილს, ჩვენს შალაქის რჩევაში ხანგრძლივი ლაპარაკი ატყდა ოფილისის სანამუსო სახლების თაობაზედ. ხმოვანმა ა. ზუბალოვმა დიდხანს ილაპარაკა ამ საგანზედ, მოიყვანა მეროპის ქალაქების მაგალითი — თუ რა ყურადღებას აქცევენ იქ ამგვარ სახლებსაო, სთქვა — თუ რა მანებელი გავლენა აქვს ამგვარ ქალებს მცხოვრებლების ჯანმთელობაზედაო და სხვ., და ბოლოს ურჩევდა შალაქის რჩევას, რომ დაწვრილებით გამოიკვლიონ ეს საქმე და ეცადონ, რომ რამდენიმე გარყვნილი, ავთიმყოფი ქალისაგან ქალაქის მცხოვრებლებს ვნება არ ეძლეოდესო.

ხმოვანმა დოქტორმა მარქაროვმა ამავე საგანზე, სხვათა შორის, სთქვა, შესანიშნავიაო, რომ, დოქტორის ბახუჯოვის სიტყვით, თითქმის ყველა სანამუსო სახლები ოფილისში გადამდგარ პოლიციის ჩინოვნიკებს უჭირავთო და საზოგადოთ ამ გვარ ქალებს ჩვენი პოლიცია სწყალობსო.

ხმოვანის მევანგულოვის წინადადებით შალაქის რჩევამ შალაქის გამგეობას მიანდო ამ საგნის შესახებ ჯეროვანი საშუალების მოპოება.

ოფილისის გუბერნიის თავად-მხურთა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა აცხადებს სიას იმ მემამულეებისას, რომლებს მამული დაგირავეულია ამ ბანკში და რომელთაც ეს დაგირავეული მამულები ესყიდებათ სესხის სარგებლის თავის ვადაზე შეუტანლობისათვის.

ამ სიდიდამა სიანს, რომ გასასყიდლად დანიშნულია სულ 25 მამული; ამათგან

14 ქალაქის მამული, 5 ოფილისის უფედისა, 4—ბორის, 1 ოიონეთისა და ერთი ოფილისის უფედისა.

სიძვირე თან-და-თან მატულობს ჩვენს ქალაქში; გასულ კვირას, მაგალითად, ფუთი შაქარი 8 მანეთად და ერთ აბაზად იყიდებოდა, დღეს კი 8 მან. და ოთხ აბაზ ნაკლებად აღარ აძლევენ. ამის-და-გვარად ძვირდება აგრეთვე სხვა ყოველგვარი ხორაგეული.

ბაჭეთი „ძაგვაზი“ გეაცნობებს, რომ რადგან ამ უკანასკნელი ომის გამო, ოსმალოდამ ჩვენში თამბაქო ვეღარ შემოჰქონდათო, იმერეთის და განსაკუთრებით ბურჩის თამბაქოს ფასი დაედო; აღრე იქაური თამბაქო ფუთი ექვს-შვიდ მანეთს ზევით არ იყიდებოდა და ამ ქამად კი კარგი გურული თამბაქო ფუთი 15 მანეთად ფასობს.

ბურჩის თამბაქოს მწარმოებლებს მიუღიათ მხედველობაში ეს კარგი გასაღილი თამბაქოსი და ახლა უფრო ბლომათ სთესავენ.

იმერეთიდან გვწერენ, რომ პირუტყვის ჭირი ჯერ კიდევ არ მოსპობილაო; ახლა ზოგიერთ ისეთ სოფლებში გაჩნდა, სადაც აღრე არ იყოო.

ამ გვარავე ამბავი მივიღეთ ჩვენ ძახეთიდანაც.

მრეგნის მეიდანზედ აშენებენ ფიცრულ სახლს, რომელშიაც, როგორც გეითხრეს, სხვა-და-სხვა გარეული მხეცები, გველები და სხვ. ყყოლებათ საზოგადოების საჩვენებლადო.

ჩვენ მივიღეთ შემდეგი შენიშვნა შემო-იმერეთიდან:

მართი ძლიერ სასარგებლო ოინი მოიგონეს ჩვენმა მემამულეებმა და ამ გვარი ოინი ამ უკანასკნელ დროს ერთობ გავრცელდა ჩვენში. აი რასში მდგომარეობს საქმე:

მემამულეები (აზნაურები და თავადები), რომელთაც სხვა ვერა-გზით ვერ უსარგებლნიათ თავიანთ მამულიდგან, აყენებენ ამ მამულების სამზღვრებზე ყარაულებს და თუ ვისმესი (განსაკუთრებით გლეხის) საქონელი შევიდა ამ ადგილში, იმწამსვე იჭერენ, მიჰყავთ შინ, დაამწყვდევენ და სანამ ერთ-ორ მანეთს არ გადაახდევინებენ, უკან აღარ უბრუნებენ პატრონს. ხშირად ახლოს რომ ჩაუაროს საქონელი მემამულის ადგილს, იპიც საკმაო, მაშინვე ხელს სტაცებენ.

„ამნაირი მოქმედებით განსაკუთრებით სახელგანთქმულია ერთი სოფ. პერევისას მცხოვრები აზნაური ს. წ—ი, რომელიც ღუჭიღებულად ამბობს, რომ ვინც როგორ მოახერხებს თავის მამულთ სარგებლობას, ისე უნდა ისარგებლოსო!“

„შემოთავაზებთ—თუ რამდენი ზიანი ეძლევა ამისთანა ობიობით ჩვენს სოფელს, ხალხს...“

„დროების“ კორრესპონდენცია

თელავი, 6-ს აპრილს. მახეთებიდამ ცუკობილობით, რომ რუსეთსა და ინგლისს შუა ომის გამართლების იმედია; ამას გარდა სწერენ, რომ მსმალეთიც ემზადება საომრათა და არავინ კი იცის—ვისთან აპირებს ომსაო.

ამ ხმების გარდაცემით ერთის პირიდან მეორესთან თელავის უფზის სოფლებს მცხოვრებელთაც შეიტყეს ყოველიფერი და საზოგადოთ დღეს ყველგან იმ აზრისა არის ალბი, რომ ეს გარემოება გააღვიძებს დიდ-დაღესტნის ხალხსაც და ლეკები შარშანდელივით აბუნტდებიან.

ამის გამო მცხოვრებნი ცოტა არ არის, რომ ფიქრში ჩაცვივდნენ; მაგრამ შარშანდელივით კი შიშის თვალით აღარ უყურებენ ლეკების არეულებას. ეს უკანასკნელი გარემოება მტკიცდება იმით, რომ ხალხი ძალიან მხნეთ არის; ვისაც კი იარაღის ხმარება შეუძლიან, ყველა მზათ არის დახვდეს მტერს მამაცათ, რა დროსაც მოითხოვს საჭიროება: თუ ვინმე ნაკლულევიანებას ჰხედავს თავის თუფში, დამბაში ანუ სხვა რამე იარაღში, მიამურებენ ოსტატებთან გასაკრავებლათ.

კარა-უქმე დღეებში გამოდიან ესენი და ვარჯიშობენ თოფის სროლას ნიშანში. შესანიშნავიც არის, რომ სხდაც კი ამისთანა სროლაში დავესწარ, ყველგან ყმაწვილი ბიჭები 15-20 წლისანი უფრო კარგათ და მარჯვით ახვედრებენ ნიშანს. მრთს სოფელში, სახელდობრ ხ—ში 18 წლის ბიჭმა ოთხჯერ ესროლა ფიცარზედ მიკრულს ერთმამურიანის-ტელაქალაღს და არც ერთხელ არ დააცილა ტყვია თითო ფრჩხილისოდენ ადგილზედ. მაგრამ ეს არის სამუშაო, რომ ჩვენი უწინდელი ქართული თოფის ტყვია ვერ მიღის დიდს მანძილზედ: ასე რომ საქებურათ გამოტანილი სიათა, ფრანგი და ყირიმი ას ნაბიჯს იქით ძალას ვეღარ აძლევს ტყვიას.

ზოგიერთს სოფლებში დამართა სასროლი ხანგლები ალაგსა-და-ალაგს იმ მხარეზედ, საიდანაც მოსალოდნელია ოდესმე მტრის მოსვლა.

მაშასახლისება ამხნეებენ ხალხს. ძოველდამე ჯერჯერობით რავდენიმე კაცი უფლიან გარემოში სოფელს და აქვთ შეკრული გზები.

ამ გვარმა სიფთხილემ ბევრგან მოსპო ღვწაკობაც. ზოგიერთი შინაური ქურდები ვეღარ ჰხედავენ საქონლისა

და ცხენების მოპარვას, რადგანაც დარწმუნებულნი არიან, რომ ფხიზელ ყარაულებს ვერ გაუვლენ სოფელს გარეთ. ამათა ჰყავთ დანიშნული თითო ზედა-მხედველი, რომელიც ღამე მოულოდნელად დაჰხედავს ხოლმე ყარაულებს. თუმცა ზოგიერთს სოფელში ჯერ არ არის ამ გვარი დაწესება, მაგრამ იმედი კი გვაქვს, რომ ისინიც ჩქარა მიჰბაძავენ ამისთანა სასარგებლო განკარგულებას.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ამ წესის განსაგრძობათ ერთი დაბრკოლება და ნაკლულევიანება აქვს ჩვენს ხალხს. ეს ნაკლულევიანება არის ტყვია და წამალი, რომელიც ერთობ ძნელი საშოვარია. ჯერ სულ არსად ისყიდება და თუ ვისმე აქვს ერთი-ორი გირვანქა წამალი, ისიც „მამა-სისხლათ“ აფასებს. ასე რომ ერთმა კაცმა, რომელსაც საიდანაც ეშოვნა ცოტაოდენი წამალი, მოითხოვა გირვანქაში 1 მანეთი და 75 კ.

მართალია, შარშან, ლეკების აბუნტების დროს, იყო დარიგებული სოფლებზედ ტყვია-წამალი, მაგრამ შემდეგ უფზის უფროსმა უკანვე მოითხოვა და, როგორც ისმის მიუტკეცია ისევ არსენალში.

ამის გამო საზოგადოების თხოვნას ვაცხადებ ამ საგანზედ და იმედიც მაქვს რომ ვისაც კი ეს შეეხება, მოახდინოს განკარგულება, რომ თელავში იშოვბოდეს ტყვია-წამალი და შეეძლოს ყველას სყიდვა მხოლოდ არა იმ ფასათ, როგორც აფასებს ორი გირვანქის მქონე, არამედ სახელმწიფო ფასით...

დ. ფუგლიდი, 8 აპრილს.

მოგვხსენებთ, რომ ვხლანდელი დროება, ე. ი. ვაზფხული მიწის მუშა ხალხისთვის ძალიან ძვირად იფასება, განსაკუთრებით გლეხი-კაცისათვის; რაც მთელი წლის საზღო და საქმელია, უნდა კაცმა მოიყვანოს ვაზფხულის მუშაობითა.

ამისთანა დროში ზუგდიდში სოფლებიდან მოჰყავთ გლეხ-კაცები, სახელმწიფო სამუშაო არისო, და ამუშავენ ბაზარში: ჰსწმენდავენ ცხენისა ცკაცის ნებსა, ტალახსა, ასწორებენ ქუჩებსა და ბუღვარზე აწყობენ სკამიკებსა დასაჯდომად ფრანტი-ფრუნტი ხალხის მოსასვენებლათა.

იქას არ ფიქრობენ, რომ საწყალი გლეხისათვის ყანა მოუხნავი, მოუთონნავი და დაუთესავათა რჩება და მერე იქნება ერთ ტანჯვაში შიმშილითა. ისიც კარგი იქნებოდა, რომ ამ მუშაობისათვის გლეხებისათვის პურის ფასი მაინც მოეცათ; მაგრამ იმასაც ვრ აძლევენ: სოფელთა კაცმა თვითონ უნდა მოიტანოს თავისი პური და მარილი და იმით უნდა იმუშაოს ბაზრის სამუშაო, სანამდი არ გაწმენდენ ქალაქსა.

დღემდინ ზუგდიდის უფზში არაფერი არ ისმოდა ომიანობის ანბავი; მაგრამ დღეს გაიგვს და ძალიანაც შეშინდნენ; ამბობენ: „ვაი, თუ გამოვიბრუნდა მჰაჯირებო!“

სამურზაყანელები ძალიან უკმაყოფილოთ იმის თაობაზე, რომ ერთი სამურზაყანოს საზოგადოებრივად, რომელიც იყო ამორჩეული მილიციათა, ყოველთვის, სანამ არ გათავდა ომი, იყვნენ ჯარის მეწინავეთა და პირველი მტრის ტყვია იმათ მოხედებოდა ხოლმე და კიდევაც ბევრნი დაიხოცნენ და ბევრნი დაკოდილი იყვნენ; როდესაც ომი გათავდა აბაზეთში, სამურზაყანელები, რომელნიც იყვნენ ბრძოლაში, მოელოდნენ დაჯილდოებასა, მაგრამ ეს საქმეები მოხდა სხვანაირათ: რომელიც ღირსი იყო ნამდვილად ჯილდოსი, ის დარჩა უკანა, ხოლო რომელიც სრულიათ არ ერა ომში, იმან მიიღო ჯილდოცა და პატივც. ამ ნაირი საქმეები მოხდა წარდგენის დროს, ასე რომ უფროსებმა წარადგინეს თავის საყვარლები, პოვრები და ლაქიები, რომელთაც მიიღეს, რაზედაც იყვნენ წარდგენილი, ხოლო ისინი, რომელნიც იყვნენ ჯაფაში და ტყვიას წინ უდგნენ მკედრით, ისანი კი ბევრნი დარჩნენ ცარიელი ხელითა.

ამას თაობაზე შედგა ერთი უკმაყოფილება და დავიდარაბა.

მხლა მოვიდა ახალი უფროსი პოლკოვნიკი არაკინი, რომელსაც საზოგადოებამ გააგებინა ეს საქმე; ამან მოითხოვა სია იმ პირებისა, რომელნიც დარჩენილი იყვნენ დაუჯილდოებელად, მე წარვადგენო.

მარდა ამისა არის ერთი საჩივარი, რომელიც ენება აგრეთვე ხსენებულ მილიციონრებს: როდესაც ისინი გამოყავდნენ ომში სამურზაყანოს პოლკს, მილიციას ჰქონდა გამოცხადება, რომ თითო კაცს ექნება თვეში ოც-და-ხუთი მანეთი ომის დროსაო; მაგრამ უფროსები აძლევდნენ ზოგჯერ ათსა, ზოგჯერ ოცს და ბევრი ერთ კაპეცსაც არ მიიღებდა. მხლა ეს საჩივარიც გააგებინეს უფ. არაკინს, მაგრამ არ ვიცით—რა განგკარგულება მოხდინა იმან ამის თაობაზე.

პარგი უფზის უფროსი ჯეყავს; მაგრამ საუბედუროთ, ძალღები უყვარს: იმას წინათ ერთს ვილაცას მიეყვანა იმისთვის ნაქურდალი ძაღლი; პატრონი აღმოუჩინდა და რადგან უფროსმა არ მისცა, სულში წაიღია საჩივლელად.

ჩვენი პრისტავი მიუხედელოდ ყოველისა კანონისა, თუ ვინმე ზუგდიდელმა ვაჭარმა მიანლო ვალის ამოგება გლეხებისაგან, მიდის სოფელში და რაც კი რამ გააჩნია გლეხს, ყველაფერი გამოაქვს და ჰყიდის. ბოგნები ემღურიან, მაგრამ მაგიერად ვაჭრები ემადრიელენბიან!...

გ. ფ.

ომის აზრები

ომის უამდვა

უცხო ქვეყნის ვახეთებში იწერებიან, მსმალეთის მმართველობამ გამოუცხადა რუსეთსა და ინგლისსაო, რომ თუ ომი ატყდა, ჩვენ არცერთ მებრძოლის მხარეს არ დავიქერთო.

უცხო ქვეყნები

იტალია

ამბოზენ, იტალია: თავის ჯარებს აგროვებს და, ყოველ შემთხვევისათვის, საომარად ემზადება. რასაკვირველია, ჯერ კაცმა არ იცის, თუ რა მიზანია აქვს იტალიას, ვის მიემხრობა ის, რომ ვინც იტალიაში მერობაში ბრძოლა ატყდეს.

მაგრამ მომეტებული ნაწილი იტალიის გაზეთებისა დიდ უკმაყოფილებას აცხადებენ სან-სტეფანოს მორიგების პირობის თაობაზე. ჰეგლზე უმაღლესი იტალიელები პატრიოტები და ცალკე ხალხების თავისუფლების მოძრაობის არიან და ამის გამო იმათ არ მოეწონათ ის მუხლები სწავლული მორიგებისა, რომელნიც რუმინიას და ზოგიერთ სხვა სლავიანურ ხალხებს შეეხება, რადგან ამ ხალხების სასარგებლოდ იმ მორიგებაში არა არის-რაო და, როგორც ეტყობა, რუსები უფრო თავის-თავის გაძლიერებისათვის ჰეტირობდნენ, როცა ეს ომი დაიწყესო.

ბელგია

პეტერბურლის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 5 აპრილს ბელგიის სატახტო ქალაქიდან (ბრიუსელიდან) მიღებული:

„ხალხის წარმომადგენელთა (დეპუტატების) პალატამ მიიღო და დათანხმდა სამინისტროს მოთხოვნისაზედ, რომ მმართველობას მიეცეს ნება სამხედრო საჭიროებისათვის ფულები დახარჯოს.

„ამ ფულებით, როგორც ამბობენ, ინგლისის რჩევით, უნდა გაამაგრონ ქალაქი ბრუსელის და ისე, რომ მტერი იმას ვერ მიუღდეს.“

„ამ ნაირად, როგორც ჰხედავთ, ბელგია კი ემზადება ამ უმად საომრად. თუმცა ძნელად მოსალოდნელია, რომ ბელგია ომში გაერიოს, მაგრამ თუ კი ოდესმე და ან ვისთანმე იმას ბრძოლა მოუხდა, უეჭველია, რომ ის ინგლისს არ მოშორდებო.“

სპარსეთი

ზასული მარტის დამდეგს, სპარსეთის შიპის წამოსვლის დროს თეირანში დაყენებულ ჯარს არეულება მოუხდენია, რადგან უწყობა ჩაუდენიათ, რადგან მთავრობა ჯამაგირს არ გვაძლევსო. იმწამსვე სხვა ჯარები მოუხმიათ და ეს აჯანყებულები დაუმვიდებიათ. „Indep. Belge“-ში დაბეჭდილი დეპეშა გვაცნობებს, რომ ამ აჯანყების დროს ათი სალდათი მოიკლა და ოცზე მეტი დაჭრილი არისო.

ფარილი რედაქტორთა

„შუალო რედაქტორო! თქვენს პატივცემულ გაზეთში, (№ 69) მე წავიკითხე საგარეო მხარეებზედ სამწუხარო ამბავი შესახებ მუთაისის გუბერნიის სახალხო შკოლებისა.

როგორც თქვენ გწერენ იპერეთიდან:

სასაოლო შკოლებში შავირდები აღარ დაიარებიან, საფლებს სურთ ჰელაქტორ შკოლები, რადგან სარგებლობას ეყრას ხედავენ; მაგრამ უმფროსები შამასახლისებს ნებას არ აძლევნო და სხე.

იმავე ნომერში იყო დაბეჭდილი ზემო-იპერეთიდან ერთი კორრესპონდენცია, რომელიც გვიმტკიცებდა ჩვენი სახალხო შკოლის სულ მთლად ბოლოს მოღებას.

თქვენმა სტატიამ „შარგებლო ხარჯი“ და ზემო-იპერეთიდან კორრესპონდენციამ ძირიელ სამწუხარო შთაბეჭდილება იქონიეს ჩემზედ, არა თუ მისთვის, რომ მე შემეხებოდნენ ისინი, არამედ როგორც უბრალო თანამგრძობელს ჩვენში სახალხო განათლებისას.

შესამოწმებელათ იმა ფაქტისა, რომელიც იყო მოყვანილი ზემო-იპერეთიდან შესახებ შრომის შკოლისა, მე და მამა ლ. ლ—ძე წავედით ჩვენი ნებით, და არა ვისმე მინდობით, 7 აპა აპრილს სოფ. შრომას.

შკოლის მასწავლებელი დაგვხვდა რკინის გზის სტანკიანედ. შკოლაში ამ დროს შავირდები მართლაც არ იყვნენ მასწავლებლის სიტყვით, იმ დღეს, შემდეგ ხუთი გაცვეთილის მიცემისა, შავირდები შინ უნდა ყოფილიყვნენ გამეფებული. მართლაც, შეიძლება იმ დროს სწავლის გათავება, თუმცა სწავლა იწყება იმ შკოლაში დილის 8 საათზედ. შკოლაში უნდა ყოფილიყო შვიდი შავირდი. მს გავიგეთ ჩვენ გარდა მასწავლებლისა, რომელმაც დაგვიმტკიცა შკოლის საბუთების საშუალებათ, საფლის იასაულისაგან და ერთი ჟანდარმისაგან. შკოლის საბუთებიდან აღმოჩნდა, რომ იმ შკოლაში ამ წლის პირველი თანვრედგან ითვლება 10 შავირდი, ნიდაგ სწავლობს საშუალო რიცხვით შვიდ უმაწვილამდის. რომ მოტყუებული არ დაერჩენილიყავით მასწავლებლისაგან ყალბათ შემდგარი საბუთებით, მ. ლ—ძემ შავირდების სახელი და გვარი ამოიკითხა სიიდან და გამოკითხა მასწავლებელს: ვისი შვილები არიან ისინი. იმათ მიუთითა ისე საცნობელათ, რომ მ. ლ—ძეს ენაშნა.

მ. იოსელიანი

დ. შვირილა, 9 აპრილს

ნარკვი

ამ მოკლე ხანში ერთმა ინგლისელმა ავტორმა ნორმანმა, რომელიც შარშან მუხთარ ფაშის არმიამ იყო ინგლისის სამხედრო აგენტად, გამოსცა ლონდონში წიგნი, რომელიც მცირე პუბლიკის საქმეს შეეხება და რომელსაც ჰქვია სახელად „სო მსხეთი და 1877 წლის ომი.“

ავტორი დასწრებით ყველა ბრძოლას, რომელიც კი ყოფილა მცირე პუბლიკის აგვიწერა დაწვრილებით სომხეთს, ოსმალეთისა და რუსების შხედრობას, იმათ დაიარაღებას, ბრძოლაში თავის-დაჭერას და ბოლოს ასე მთავებს თავს წიგნს:

„ამ უკანასკნელი წლის ომისათვის ჩვენ

ამ საგნის შესახებ ერთს ნემეცურს გაზეთს „Presse“-ში მოხსენებულია, რომ „მართალია, ოსმალეთი ამას ამბობენ, მაგრამ, უეჭველია, რომ, თუ რუსეთსა და ინგლისს შუა ბრძოლა ატყდა, ისინი იმწამსვე თავის ჯარებსა და ჭლოტს დაუთმობენ ინგლისს და ამნაირად მოინდომებენ გაუქმებას სან-სტეფანოს მორიგების პირობისას, რომელიც მსმალეთს, რასაკვირველია, არ მოსწონს.“

„ჰავისის სააგენტოში“ იწერებინ 2 აპრილს:

„ზოგიერთს გაზეთებში იწერებოდნენ ამას წინათ, რომ ვითომც მსმალეთის მმართველობამ მიატოვა სტამბოლის გამაგრება და ამ თავის სატახტო ქალაქს გარეშე მოციხე-სიმაგრეებს აღარ აშენებდნო. მა თუ უილი ამბავია: ჩვენ ნამდვილათ ვიცით, რომ ახლა პორტა ერთი-ორად უფრო მომეტებული სიჩქარით ცდილობს, რომ სტამბოლი გაამაგროს და უფრო მომეტებული მუშებიც ჰყავს ამ საქმეზე დაყენებული, ვინემ აღრე ჰყავდა.“

შენის გაზეთი „Polit. Corresp.“ გვაცნობებს, რომ რაც რუსეთიდან მსმალეთს ტყვედ აყვანილი ჯარი დაუბრუნეს, თითქმის სულ თესალიაში და მთარში გაგზავნეს იქაურ აჯანყებულ ბერძნების დასამშვიდებლათო.

ბოლგარიიდან მოვიდა ამბავი, რომ ამ მომავალი მისის პირველ რიცხვებში შეიკრიბებიან ბოლგარიის ძველს სატახტო ქალაქს თირნოვოში ხალხისაგან ამორჩეული დეპუტატები, რომელთაც უნდა მოიღობარაკონ თავის ქვეყნის მომავალ მმართველობაზე და აგრეთვე ბოლგარიის მთავრის ამორჩევაზედ.

ინგლისის მინისტრმა ნორტოტმა სთქვა მემო-პალატაში, რომ მსმალეთისაკან რუსეთისთვის ბათუმის დათმობის საქმე კონგრესმა უნდა გადაწყვიტოსო.

ამავე გაზეთს სწერენ სტამბოლიდან, რომ 31 მარტს ერთხელ კიდევ ნახა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ ხონთქარი და ამათ დიდხანს ჰქონდათ მოლაპარაკება. ამბობენ, ხონთქარის ჰაზრი ეს არისო, რომ მსმალეთი არცერთის მებრძოლის მხარეს არ დაიჭერსო; მაგრამ ხონთქარის დაანლოებითი, გავლენიანი პირების კი უფრო ინგლისს თანაუგრძობენ.

„Indep. Belge“-ში დაბეჭდილი ტელეგრამა გვაცნობებს, რომ რაც ამ ომში მგვიტყვს ჯარები ერინენ, სულ ყველა დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაშიო; მაგრამ მაგიერად მგვიტყვს ქვედა ახალ ჯარს უზგანის სულთანსო.

აგვიხილა თვალები; ჩვენ ვიცით ახლა რუსეთის სამხედრო ძალა; თამამად შემიძლიან ვხევა, რომ ამ რუსეთის სამხედრო ძალაზედ ჩვენ ერთობ გავხიადებულის პარის ვუყავით, ერთობ შემცდარი შექედულობა გექონდა იმის ძლიერებაზედ.

* *

ლონდონში ცხოვრებს ამ უამად სულ ოთხი მილიონი, ხალხი ე. ი. თითქმის ორი იმდენი, რამდენიც მთელს ძავეკასიაში.

სტატისტიკოსებმა გამოანგარიშებით, ყოველ ხუთი მინუტის განმავლობაში იქ ერთი სული იზადება და ყოველ შედ მინუტში ერთი ადამიანი კვდება.

პოლიციის ანგარიშით, ლონდონში 120,000 ქურდი, ავაზაკი და სხვა ბოროტი ხალხი ცხოვრებს და ამ ხელობით პოულობს ლუკმა-პურს; 23,000 უნამუსო ქალი იქაურ ბოზხანებში და 38,000 ლოთი.

* *

მრთს ამერიკელს მოუგონია იმ რიგათვე მიღებით სახლების გათბობა, რა რიგათვე ქუჩების გასანათებლად გავი გაუყავთ. მრთს ალაგას არის „სიბობს ფაბრიკა, სადაც ამზადებენ გახურებულ ორთქლს; აქედამ მთელს ქალაქში გადის მიღები და ქუჩიდან მიღები სახლებშია გაყვანილი. მისაც რამდენი სიბობ ექირება, გააღებს კრანს თავის მილისას და შეყოფებს გამთბარ ორთქლს, რომელიც რამდენიმე წამში ათბობს ოთახებსა.

ამბობენ, რომ ამ სისტემით ათბობენ ამ უამად ამერიკის ქალაქს ბუფალოში ყველა სახლებსა და მცხოვრებლები ძალიან კმაყოფილნი არიანო. ამის საშუალებით ძალიან ბევრი ქვანახშირი და შეშა დაეწოგება თურმე.

* *

ბელსიანგზორსში შემდგარა კამბანია იმ განზრახვით, რომ მოაგროვონ ფული და ააშენონ სახლი განსაკუთრებით ღარიბებისათვის.

* *

პარიჟის სამასხარო გაზეთს „Figaro“-ში დაბეჭდილია შემდეგი ამბავი:

„ამას წინათ ერთი ფაიტონი წაიქცა პარიჟის ქუჩაში და გამოჰყარა იმაში მსხდომი ერთი პატროსანი ვაჭარი და იმის ახლოგაზა, ლამაზი ქალი. მამა მშვიდობით გადარჩა; მაგრამ ქალი კი პირვედ დაეცა მიწაზე და, საუბედუროდ, ცხვირი გაიფუჭა.

„მაჭარმა იმ წამსვე საჩივარი შეიტანა ფაიტონის პატრონზე. იმან მოითხოვა ზიანი 25,000 ფრანკი (2,000 მანეთი). მომრიგებელ მოსამართლემ განიხილა იმის საჩივარი, კანონიერად იცნო იმის საბუთები; მაგრამ, 25,000 ფრანკის ნაცვლად, გადაუწყვიტა იმას 400 მანეთის მიღება ფაიტონის პატრონისადან.

„ამ გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ვაჭარი და თავის საჩივარი უმაღლესს სასამართლოში გადაიტანა, რომელმაც 5,000 ფრანკის (1800 მანეთამდენ) მიღების უფლება მიანიჭა იმას ზარალის საზღვევლად.

„—მაღლობა დმერთს, ახლა ვიცით ჩვენ—როგორ ღირს ლამაზი ქალის ცხვირი! ამბობს ხსენებული გაზეთი.“

განცხადებანი

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ 25 აპრილს, უკრავის თანადასწრებით, დანიშნულია, მხოლოდ ერთხელ, ვაჭრობა არჩენდეთ (იჯარით) მიცემისათვის იმ საქალაქო მიწისა, რომელიც შეიცავს 5,000 ოთხ-კუთხ საყენ მიწას და რომელიც მდებარებს ქუჩიაში, ავკალის გზაზე, რკინის გზის სტანციის პირდაპირ.

მს აღგილი გამოსადეგია ოჯახობისათვის.

მსურველმა თხუთმეტი წლის ვადით უნდა აიღოს ეს ალაგი იჯარითა.

(3-1)

ვისაც ჰაურს იყილოს ხმელი საშენებელი ტყე, ფიჭვის, და წაქვის, ფიჭვები, სამი და ოთხი წლის, განხერხი, შეუძლიან მიმართოს პოლკოვნიკის ბუჭყეივის სადგომში, არსენალის ქუჩაზე, სახლის № 31.

საკაროდ ვრაც გამოეცხადო, რომ რიგ-რიგზე შეუსრულებთ ყვილას, ვინც შეგვიკვეთს. შიცრების გამოტანა ამ წლის 1 მაისიდან დაიწყება

(2-1)

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ, იმის თანადასწრებით, ამ 10 მაისს იქნება მხოლოდ ერთხელ ვაჭრობა ქალაქის 1300 ფანრის ნავითი განათებისა იჯარით მიცემაზედ.

მსურველს შეუძლია პირადათ განაცხადოს ქალაქის გამგეობაში თავის პირობები (ფასები) ვაჭრობის დროს; შეიძლება აგრეთვე დაბეჭდილი კანცერტით წარდგენა თავის პირობებისა.

ქალაქის გამგეობისაგან შედგენილი კონდიციები (პირობა) მსურველს შეუძლიან ნახოს უკრავაში მუდამ დღეს უქმეებს გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

(3-2)

თფილისის ქალაქის საავათმყოფო ამით აცხადებს, რომ ვისაც ჰაურს თავის შეიღებს ყვავილი აუცრას, შეუძლიან მიმართოს საავათმყოფოში ორშაბათობითა და პარასკეობით, დილის ათი საათიდან შუადღემდინ. აქ უცრიან ყვავილს ექიმის ხელმძღვანელობით.

ღარიბებს მუქთად აუცრიან ყვავილს და ვისაც შეუძლიან, ექვსი შაური უნდა შეიტანონ.

(5-3)

რ. გზა.	დილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ	მაზანდა	მან	თფილისის სამკურნალო
თფილისი .	9 21	5 18			მ. ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 12 აპრილს		მრევის მაედანზე, წინამძღვაროვის
მცხეთა . .	10 11	6 27	- 68	- 38	ჭუთაისს, შოთს . . .	1	ფქვ. თ. თ. მანჯისა, ფთ.	2	სახლებში.
ბორი . . .	11 58	9 43	2 40	1 33	ბორს, დუშეთს, სიღნაღს	50	ფქვილი წითელი . . .	1 50	ავათმყოფებს მიღებენ ყოველ დღე,
ხაშური . .	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდესას, მოსკოვს	2	ქერი ფუთი	2 10	კვირას გარდა, დილის 8—10 მდინ.
სურამი . .	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, პარსავას . .	2	ბამბა მრევისა, ფუთი .	7 50	მ რ შ ა ბ ა თ ს : მინკევიჩი—ხირუ-
შვირილა . .	5 49		5 81	3 23	მსხალეთში, შევიტარიაში	3	—ამერიკისა, ფუთი . .	8 50	რვი, მისიცივი—შინაგ. ავათმყ.
რიონი . . .	6 47		6 75	3 75	იტალიაში და სფერანგეთში.	3 50	მაპეტლი ბამბა ფუთი.	10	ს ა მ შ ა ბ ა თ ს : მერმიშვი და
სამტრედი . .	7 41		7 73	4 29	ინგლისში	3 75	მატყელი თუშური ფთ.	8 20	მარქაროვი—შინაგ. ავათმყოფობის,
ახ.-სენაკი .	—		8 57	4 76	ფოკუსა		—თარაქამისა ფთ. . .	4 30	თამაშმევი—თვალის.
შოთი	9 40		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე		აბრეშუმის ნუხური სტ.	2	მ თ ს შ ა ბ ა თ ს : მისიცივი—ში-
შოთი	9 13				კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.		მონი, ფუთი	6 30	ნაგანი ავათმყოფ., ქიუჩარიატი—გენერალის.
ახ.-სენაკი .	—		1 18	- 66	მსურ. —პარასკ. და ორშ. პანეთს—		მონის სანთელი ფუთი.	8	ხ უ თ შ ა ბ ა თ ს : მერმიშვი და შინა-
სამტრედი .	11 16		2 61	1 14	სამშ. და შაბ. ბ) მუთაისიდან:		სტეარინის სანთელი, ფ.	13 40	განი ავათმყოფობისათვის.
რიონი . . .	12 13		3 41	1 69	თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ		ხორცი ძროხისა, ლიტ.	1 8	პ ა რ ა ს კ ე ვ ს : მისიცივი და მსა-
შვირილა . .	1 18	ლაშე	3 98	2 21	დღე, კვირას გარდა. მსურგეთს—		—ცხვრისა, ლიტრა . .	—99	ტუროვი—შინაგ. ავათმყოფ. და მინ-
სურამი . . .	5 12	1 10	5 33	2 96	ორშ. და პარასკ.		სპირტი, ვედრო	5 20	კევიჩი—ხირურგ.
ხაშური . . .	5 39	1 37	5 84	3 24	წიგნის გავზაენარუსეთში	კაპ.	—შენილი ფუთი	6 20	შ ა ბ ა თ ს : მერმიშვი და მარქ-
ბორი	7 5	4 8	7 36	4 9	და სამზღვარ გარეთ:		შავა გრგვალი, გირვ . .	—70	როვი—შინაგანი ავათმყოფობის., ქიუ-
მცხეთა . . .	8 50	6 59	9 85	4	ღია წიგნის	4	ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	12	ქიუჩარიატი—ყურის და ხირურგიულ
თფილისი .	9 31	7 56	9 75	5 42	დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8	თამაქო, საშუალო ფუთი	8 50	ავათმყოფ. და თამაშმევი—თვალის.